ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4085526

ნომერი: AR1615443

თარიღი : 11.07.2018

გაცემის თარიღი : 24.07.2018

გაცნობის თარიღი : 24.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , მიმდებარედ , (ნაკვეთი 18/103) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.18/094); ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , N 1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 11 ივლისს №AR1615443 განცხადებით მომართეს ვასილ ცომაიამ და თეა დანელიამ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი- გლდანი, ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 18/103)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, N1/ქალაქი თბილსი, ქუჩა ხიზაბავრი, N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.18/094)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, N1 ის მიმდებარედ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.12.018.217), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2018 წლის 5 აპრილის № 3900102 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ხიზაბავრი, მიმდებარედ, (ნაკვეთი 18/103)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, N1/ქალაქი თბილსი, ქუჩა ხიზაბავრი, N1-ის მიმდებარედ (ნაკვ.18/094)/ქალაქი თბილისი, ქუჩა ხიზაბავრი, N1 ის მიმდებარედ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.11.12.018.217), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 05 აპრილიდან 2021 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საზაფხულო ფართობად 6914,0 კვ.მ-ის ნაცვლად 6931,6 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 39444,4 კვ.მ-ის ნაცვლად 39462,0 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 6931,6 კვ.მ, საერთო ფართობად 39462,0 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 მარტის №3873226 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა